ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო
საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი № 63

8 აგვისტო 2019 წ. ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

12:00 სთ

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე - ირაკლი ზარქუა

კომისიის წევრები: ლევან დავითაშვილი, ლევან არველაძე, ალექსანდრე ხუჯაძე, ლევან დარახველიძე, დავით უთმელიძე, გიორგი თეცლაძე

სხდომას ესწრებოდა:
საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე- ლევან მიქავა.
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება კომისიის წევრთა უმრავლესობა.

სხდომას თავმჯდომარეობდა ირაკლი ზარქუა.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას, გააცნო და კენჭი უყარა დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილები: ქ"თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების გადანაწილების შესახებ (#11-01192191365 07.08.2019წ; #11-011912171960 05.08.2019წ)

დღის წესრიგი დამტკიცებული იქნა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვამდე, სხდომის თავმჯდომარემ კომიის წევრებს მიმართა წინადადებით, რომ ვინაიდან კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი დავით უთმელიძე გადის შვებულებაში, ამ პერიოდში კომისიის თავმჯდომარის არ ყოფნის შემთხვევაში, მისი მოვალოება შეასრულოს კომიიის წევრმა ლევან დარახველიძემ.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას.

მომხრე- 7

გადაწყდა: ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის არ ყოფნის შემთხვევაში, დავით უთმელიძის შვებულებაში ყოფნის პერიოდში მისი მოვალეობა შეასრულოს ლევან დარახველიძემ.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხი კომისიის წევრებს წარუდგინა ლევან მიქავამ.

მან აღნიშნა, რომ გლდანის რაიონის გამგეობას შემოერთებულ ტერიტორიებზე წყალსადენის ქსელის მოწყობასთან დაკავშირებით, ამხანაგობა „წყაროსა" და შპს „ბემა" შორის დადებული ხელშეკრულებით ნაკისრი სამუშაოების შესრულებაზე გაცემული აქვს დაპირება. ასევე გამგეობას კომპიუტერული ტექნიკის შესაძენად და დაზიანებული „შლაკბაუმის" შეკეთებისათვის სჭირდება 7000 ლარი. აქედან გამომდინარე

7000 ლარის მუხლობრივი ცვლილება ხდება პროგრამულ კოდში (10 27) და პროგრამულ კოდს (08 02 20 01)-ს ემატება 150 000 ლარი, რაიონის „კეთილმოწყობის ღონისძიებების“ შესაბამისად შემცირების ხარჯზე.

ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური ბენეფიციართა ზრდის გამო ითხოვს დაავადებათა სკრინინგის (პროგრამული კოდი 06 01 02) გაზრდას 160 000 ლარით და სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისთვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარების (პროგრამული კოდი: 08 02 02) გაზრდას 175 000 ლარით. დაბალანსება ხდება ნაშთის ცვლილებით.

გარდა ამისა კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მოთხოვნით იზრდება პროგრამის „კულტურის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებები“ (კოდი 08 04 04) წლიური ასიგნება 60 000 ლარით.ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა სურათების გალერეის სარეაბილიტაციო სამუშაოების პრეოქტში არ იყო გათვალისწინებული ადაპტირებული ლიფტების მოწყობა, ასევე აუცილებლობას წარმოადგენს გალერეის ძველი სახურავის შეკეთება. დაბალანსება ხდება „კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობის“ (კოდი 08 05) და „ინკლუზიური ხელოვნებისა და განვითარების ხელშეწყობის“ (კოდი 08 13) პროგრამებში არსებული რესურსით.

მომხრე- 6

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილებით წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების გადანაწილების შესახებ“, სადაც ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური და გლდანის რაიონის გამგეობა ითხოვს მათზე მიკუთვნებული პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში გათავლისწინებული ასიგნებების გადანაწილებას, ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა გადაწყვიტეს:

“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-85 დადგენილების დანართი 1-ის მე-2 მუხლის მე-3 და მე-7 პუნქტის შესაბამისად **მიეცეს თანხმობა ასიგნებების გადანაწილების ცვლილებას დანართების შესაბამისად.**

სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო
კომისიის თავმჯომარე ირაკლი ზარქუა